

ხელშეკრულება № 7  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
(კონსოლიდირებული ტენდერი №-CON160000062)

ქ. თბილისი

28 დეკემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო-დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი, შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი უფროსის მოადგილის ვახტანგ მყავანაძის სახით და მეორე მხრივ შპს რომპეტროლ საქართველო შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კაირატ კაბილოვის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის #11 ბრძანების, „2016 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2335 განკარგულებისა და 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - დიზელი გატანა ნავთობ ბაზიდან სითხის სახით, სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე, იმ დოკუმენტებით და დანართებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 ლიტრი საწვავის სავარაუდო ფასზე) რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საწვავი“ - დიზელი **Efix EURO Diesel**- გატანა ნავთობ ბაზიდან სითხის სახით;
- 1.7 სატენდერო დოკუმენტაცია - დიზელი გატანა ნავთობ ბაზიდან სითხის სახით - სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ საწვავის შესყიდვა ნავთობ ბაზიდან სითხის სახით. მიწოდების ვადა: 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს - 539560,00 ( ხუთასოცდაცხრამეტიათასხუთასსამოცი) ლიტრს.
- 2.3. საწვავის შესყიდვა განხორციელდება შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ მითითებულ ნავთობ ბაზაზე.



კაბილოვი

2.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ სრულად ფლობენ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თაობაზე ნავთობპროდუქტების სითხის სახით შექმნა/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შემსყიდველი ფლობს ნავთობპროდუქტების სტაციონალური ობიექტის კოდს (შვიდნიშნა კოდი), ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დასრულების ადგილის მაიდენტიფიცირებელ კოდს. მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ნავთობპროდუქტზე ნსაფ-ის (სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერის დროს გამოიყენება მიმწოდებლის ის რეკვიზიტები, რომლებიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში. მიმწოდებელი თავისუფლდება ყველა იმ საჯარიმო სანქციისგან რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას შემსყიდველის მიერ წინამდებარე მუხლში მითითებული კოდის წარმოუდგენლობით.

2.5. საქონლის/საწვავის მახასიათებლები:

#	დასახელება/სახეობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სრული ღირებულება (ლარი)
1	დიზელი Efix EURO Diesel	539560	1,39	749988,40

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 749988,40 (შვიდასორმოცდაცხრაათას ცხრაასოთხმოდარვა ლარი 40 თეთრი) ლარს.

3.2 საწვავის საორიენტაციო რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. პუნქტში

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საწვავის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს მათ შორის დღ-ს, ტრანსპორტირების ხარჯებისა და საწვავის შენახვის ხარჯებს ნავთობ ბაზიდან მის გაცემამდე.

### 4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 მიმწოდებლის მიერ კონსოლიდირებულ ტენდერში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z = \left( \frac{C_{bid} * 1000}{D * 1.18} - A_{nov} \right) * \frac{1}{R_{nov}} - P_{nov}$$

რომელშიც:

$C_{bid}$  - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ Efix EURO Diesel-ის (ლარში);

$R_{nov}$  - აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2016 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული;

$D$  - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი Efix EURO Diesel-ის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ<sup>3</sup>);

$P_{nov}$  - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრიკული ტონის 2016 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შენდგომის - კლაცის ნიშნული).



*[Handwritten signature]*

4.2 მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი *Efix EURO Diesel-ის* ნომინალური ღირებულების განსაზღვრას (შემდგომში - ნომინალური ღირებულება -  $C_{nom}$ ) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C_{nom} = \frac{((P+Z)R+A)*1.18*D}{10000}$$

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს; A - მიმდინარე თვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18%-დღგ, ხოლო Z და D - 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ *Efix EURO Diesel-ის* სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიკაციიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასსა (P) ან/და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალურის ოფიციალური გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია ვებ გვერდზე [priceromp petrol.ge](http://priceromp petrol.ge) -ზე გამოაქვეყნოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში საწვავის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი -  $C_1$ ). აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაცია ინფორმირებულია და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს რომ ინფორმაციის მიღების ზემოხსენებული ფორმა მისთვის მისაღებია.

4.4 2017 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი თვის *Efix EURO Diesel-ის* საბოლოო ფასის ( $C_{bid}$ ) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლიტრ *Efix EURO Diesel-ის* ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულის, აქციზის და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ რიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი *საწვავის* მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების ( $C_{nom}$ ) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების ( $C_{nom}$ ) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%-ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის  $C_1$  უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%-ზე მეტით შემცირებულია - მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი:

მიმდინარე თვე არის მარტი, საანგარიშო თვე არის თებერვალი, ხოლო საანგარიშო თვის წინა თვე არის იანვარი. შესაბამისად, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში თებერვლის თვეში ერთი ლიტრის საშუალო ფასი იანვრის ანალოგიურ ფასთან მიმართებაში შემცირებულია 10%-ზე მეტით, მაშინ მარტის თვის  $C_1$  უნდა იყოს თებერვლის თვის საშუალო არითმეტიკულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10



Handwritten signature in blue ink.

ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%-მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C<sub>2</sub>) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.6 საწვავის შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი საწვავის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C<sub>AV</sub>).

4.7 ტრანსპორტირების ხარჯები ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. საწვავის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.8 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრული A, P და R, მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი საწვავის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C<sub>1</sub>) და აგრეთვე წინა თვის საანგარიშსწორებო ფასი. რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.9 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა.

4.10 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.3 და 4.8 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის ფასზე დაყრდნობით.

4.11. 2017 წლის დეკემბრის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

### 5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან ათი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

დ) მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის მიწოდების თაობაზე ითვლება შესრულებულად საქონლის მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის მომენტიდან.

ე) წარუდგინოს 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშ-ფაქტურა შემსყიდველ ორგანიზაციას. ვ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან. განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული



კაპიოოო

წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.  
ზ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

**5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად მოითხოვოს შემსყიდველისგან საწვავის ღირებულების დროული ანაზღაურება.

**5.3. შემსყიდველი ვალდებულია:**

- ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
- ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ მითითებული ნავთობ ბაზიდან;
- გ) მინიმუმ ათი დღით ადრე შეატყობინოს მიმწოდებელს საქონლის შესყიდვის თაობაზე ოდენობისა და მიწოდების ადგილის მითითებით ელექტრონული ფოსტის ან ოფიციალური წერილის საშუალებით;
- დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.
- ე) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
- ვ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.
- ზ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
- თ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

**5.4 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:**

მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.5 კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე Efix EURO Diesel-ის მიწოდება (გატანა ნავთობ ბაზიდან) განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.


**6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

7.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

7.2 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის



Handwritten signature in blue ink.

დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი საწვავის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობა, ცვლილებების ან/და დამატების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადაამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

9.4. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლის ან/და ზიანის ანაზღაურება.

## 10. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები, თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრ ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.



კახიანი

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

12.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და იგი ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.11 პუნქტი ძალაშია 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები:

*შემსყიდველი:*

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო-  
დაწესებულება საავტომობილო გზებისა და  
სამელიორაციო სისტემების მართვის  
დეპარტამენტი

საიდ. კოდი: 245 538 333

მისამართი ქ. ბათუმი ჯავახიშვილის #72ა:

ს.ს. "თიბისი ბანკი"

ანგარიშის #- GE62TB7901736010100015

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577 30 27 49

საკონტაქტო ელ. ფოსტა: tenders@ajararoads.ge

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ვახტანგ მუავანაძე

*მიმწოდებელი:*

შპს „რომპეტროლ საქართველო“

ს/კ 204493002

ტელ: 2910727/78

სს ვითიბი ბანკი

ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორი  
კაირატ კაბილოვი



*Handwritten signature in blue ink.*

მხარეთა შორის 2016 წლის 28 დეკემბერს #7 გაფორმებული ხელშეკრულებისთვის

შემსყიდველის ინფორმაცია

მისაწოდებელი საქონლის - Efix EURO Diesel რაოდენობა (ლიტრი)	539560 ლიტრი
ნავთობპროდუქტების სტაციონალური ობიექტის კოდი (შვიდნიშნა კოდი), სადაც სრულდება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება/დაცლის ადგილი;	ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტი

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო-  
დაწესებულება საავტომობილო გზებისა და  
სამელიორაციო სისტემების მართვის  
დეპარტამენტი  
საიდ. კოდი: 245 538 333  
მისამართი ქ. ბათუმი ჯავახიშვილის #72ა;  
ს.ს. "თიბისი ბანკი"  
ანგარიშის #- GE62TB7901736010100015  
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577 30 27 49  
საკონტაქტო ელ. ფოსტა: tenders@ajararoads.ge  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
ვახტანგი შყავანაძე

შპს „რომპეტროლ საქართველო“  
ს/კ 20449 3002  
გენერალური დირექტორი  
კაირატ კაბილოვი





დანართი #2

N	საქონლის დასახელება	საწვავის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საორიენტაციო საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7
1	დიზელის საწვავი	Efix EURO Diesel	539560	1,39	749988,40	ქ.ბათუმი
				სულ:		

შემსყიდველი:

აჭარის ა.რ. მთავრობის საქველუწყო-  
დაწესებულება საავტომობილო გზებისა და  
სამელიორაციო სისტემების მართვის  
დეპარტამენტი

საიდ. კოდი: 245 538 338

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
ვახტანგი მყავანაძე



*Handwritten signature of Vachtanaghi Mkvandze*

მიმწოდებელი:

„რომპეტროლ საქართველო“  
საიდ. კოდი: 204493002  
გენერალური დირექტორი  
კაირატ კაბილოვი

